სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორის ბრძანება № 01-04 / 23

ქ. ქუთაისი

02 მაისი 2019 წ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამისობის დადგენის მიზნით პერსონალის ატესტაციის ჩატარების ფორმების, თარიღის და დროის, ასევე საატესტაციო მოთხოვნების შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების თანამდებობებზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გამოცხადდეს და ჩატარდეს ატესტაცია პერსონალის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამისობის დადგენის მიზნით. ამრიგად, „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის (ასოცირებული პროფესორის) დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამობის დადგენის (პერსონალის ატესტაციის ჩატარების) წესის დამტკიცების შესახებ“ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომაგენლობითი საბჭოს 2019 წლის 28 მარტის №13 დადგენილებისა და საქართველოს შრომის კოდექსის საფუძველზე,
ვბრძანებ:

- დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამისობის დადგენის

მიზნით ჩაუტარდეს ატესტაცია სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის იმ ასოცირებულ პროფესორებს, რომელთა ხელშეკრულება გადაზრდილია განუსაზღვრელ ვადაში (სია თან ერთვის).

- ცნობად იქნას მიღებული, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ატესტაციის ჩატარების პირობები, კერძოდ: ატესტაციის ფორმები, მეთოდიკა და თემატიკა, ატესტაციში მონაწილეთა შეფასების კრიტერიუმები, საატესტაციო კომისიის შემადგენლობა და კომისიის მუშაობის წესი და ატესტაციასთან დაკავშირებული სხვა პირობები განსაზღვრულია „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის (ასოცირებული პროფესორის) დაკავებულ თანამდებობასთან/ შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამობის დადგენის (პერსონალის ატესტაციის ჩატარების) წესის დამტკიცების შესახებ“ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომაგენლობითი საბჭოს 2019 წლის 28 მარტის № 13 დადგენილებით.
- ამ ბრძანებით გამოცხადებული ატესტაცია ჩატარდეს შემდეგი სახით: მონაცემების შემოწმება და გასაუბრება.
- საატესტაციო დოკუმენტების მიღება განხორციელდეს 2019 წლის 18 მაისიდან 2019 წლის 22 მაისის ჩათვლით. საატესტაცო დოკუმენტების (საბუთების) მიღება იწარმოებს ყოველდღიურად 10:00 საათიდან - 18:00 საათამდე (უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით) შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, მეორე სართული. ოთახი № 1211.
- ატესტაცია ჩატარდეს 2019 წლის 23 მაისიდან 2019 წლის 28 მაისის ჩათვლით (მათ შორის, 27 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით - გასაუბრება). გასაუბრება ჩატარდება. უნივერსიტეტის კორპუსებში.
- სააპელაციო განცხადებების მიღება იწარმოებს 2019 წლის 29 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, მეორე სართული. ოთახი № 1211.
- ატესტაციის გრაფიკი, ინფორმაცია ატესტაციის ჩატარების პრინციპების, პროცედურების, ფორმებისა და პირობების შესახებ, ასევე, საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა, ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს ეცნობოს 2019 წლის 3 მაისის ჩათვლით.
- ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტირებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გაზეთ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტი“-ს რედაქციამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

- ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი
პროფესორი **როლანდ კოპალიანი**

ატესტაციას დაქვემდებარებულ ასოცირებულ პროფესორთა სია რომელთა ხელშეკრულება გადაზრდილია განუსაზღვრელ ვადაში

#	**გვარი**	**სახელი**
•	აბულაძე	ნინო
•	ჩაკვეტაძე	მაია
•	ერემეიშვილი	მერაბი
•	გაბუნია	ქეთევანი
•	მენაბდე	დავით
•	ჯავახია	მაკა
•	ჟვიტიაშვილი	თენგიზ
•	გრძელიძე	თაისა
•	ნადირაძე	თეიმურაზი
•	ცაგარეიშვილი	კონსტანტინე
•	გაბუნია	გიორგი
•	ალავიძე	ნატო
•	ვალიშვილი	თამარა
•	ფხაკაძე	ირინე
•	უკლება	ქეთევან